

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1. დისერტაციის წინასწარი დაცვა 2019 წლის 29 აპრილიდან 4 მაისის ჩათვლით; სწავლების მე-8-ე კვირას შესაბამისი დეპარტამენტების გაფართოებულ სხდომაზე
2. დისერტაციების დაცვები ჩატარდება 2019 წლის 08 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით;
3. საბუთების მიღება 2019 წლის 06 მაისიდან 27 მაისის ჩათვლით; (სადისერტაციო საბჭოს მდივანთან - დ. ტაბატაძე) (აუდიტორია 211 ან 544)
4. დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭო ჩატარდება სავარაუდოდ 2018 წლის 02 - 20 ივნისი
5. 2019 წლის 20 ივნისი - ნივლისი (დამოკიდებულია დაცვის თარიღზე) ორი კვირით ადრე , დაცვამდე , ინფორმაციის და ბრძანების პროექტის გაგზავნა სასწავლო დეპარტამენტში.

წარმოსადგენი საბუთები

1. განცხადება საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დისერტაციის განსახილველად მიღების თხოვნის შესახებ; (იხილე ნიმუში); თავმჯდომარის ვიზით.
2. სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე შესრულებული დისერტაციის 4 აკინძული ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში); დისერტაცია და ავტორეფერატი გაფორმებული უნდა იყოს შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით (როგორ

უნდა იპოვოთ დანართები: gtu.ge-სწავლება,პროგრამა დოქტორანტურა,
დებულება,დანართი 2, 3)

3. სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე შესრულებული ავტორეფერატის 20-30
ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში);დისერტაცია და
ავტორეფერატი გაფორმებული უნდა იყოს შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით (როგორ
უნდა იპოვოთ დანართები: gtu.ge-სწავლება,პროგრამა დოქტორანტურა,
დებულება,დანართი 2, 3)

4. ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) მიერ დოქტორანტის დახასიათება
დოქტორანტურაში სწავლისა და დისერტაციის მომზადების პერიოდში გამოვლენილი
საქმიანი თვისებების შესახებ;

5. სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი
და დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული ნაშრომები (სულ მცირე სამი
სამეცნიერო სტატია). სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების,
კონგრესების, სიმპოზიუმების მასალები (მინიმუმ ერთი მოხსენება). გამო- გონებების,
პატენტების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები (მათი არსებობის
შემთხვევაში) და მათი სია დამოწმებული შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის
ხელმძღვანელის მიერ;

6. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის ასლი (პირები, რომლებსაც
განათლება მიღებული აქვთ უცხოეთში, წარმოადგენენ მიღებული განათლების
აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს, რომელიც გაცემულია სსიპ
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ);

7. ბიოგრაფიული ცნობები (CV).

8. დოქტორანტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესრულების შესახებ (სასწავლო ბარათი); კოლოკვიუმების, სემინარების და წინასწარი დაცვის აუდიო/ვიდეო ჩანაწერები, შესაბამისი ოქმების და ყველა კომპონენტის ელექტრონული უწყისების ასლები; აგრეთვე ინფორმაცია დოქტორანტის ფინანსური ვალდებულების შესრულების შესახებ;
9. დისერტაცია და ავტორეფერატი გაფორმებული უნდა იყოს შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით (როგორ უნდა იპოვოთ დანართები: gtu.ge-სწავლება,პროგრამა დოქტორანტურა, დებულება,დანართი 2, 3)
10. ავტორეფერატში წარმოდგენილი უნდა იყოს დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული მხოლოდ იმ შრომების, პატენტების ნუსხა, რომელთა შინაარსი შეესაბამება დისერტაციის თემატიკას და შედის სადისერტაციო ნაშრომში.
11. დეპარტამენტის გაფართოებული სხდომის ოქმი(წინასწარი დაცვის ოქმი)
- 12.დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანება, თემის დამტკიცების ბრძანება;
- 13.კოლოკვიუმის და სემინარების, წინასწარი დაცვის მიმდინარეობის ჩანაწერები(დისკები)
14. პლაგიატის არ არსებობის დამადასტურებელი ცნობა
- 15.საბუთების ჩასაღები.

****** შენიშვნა: ყველა საბუთი ხელმოწერილი და ბეჭედით დამოწმებული;**

სამშენებლო ფაკულტეტის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი
სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარეს
ლევან კლიმიაშვილს
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
სამშენებლო ფაკულტეტის
სწავლების მესამე წლის დოქტორანტ თამარ კვაჭაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

დავამთავრე სადისერტაციო თემის ნაშრომი – „სამშენებლო მექანიკის ზოგიერთი ამოცანის რიცხვითი ამოხსნები სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდის გამოყენებით“. ფინანსური დავალიანება არ მაქვს, შესრულებული მაქვს 150 კრედიტი.

გთხოვთ დამართოთ ნება საჯარო დაცვისთვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

დოქტორანტი

თამარ კვაჭაძე

